საქართველოს მთავრობის

დადგენილება №295

2014 წლის 14 აპრილი

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი უძრავი ძეგლისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის „დედაენა - ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ძეგლებს: არმაზციხე, მცხეთის აკლდამა, ბებრის ციხე, არმაზისხევის კომპლექსი, სამთავროს სამაროვანი, ნამოსახლარები და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „დედაენა - ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი“ განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**